BUND
FRIENDS OF THE EARTH GERMANY

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ამბიციურ „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განხორციელების პროცესში

„ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განახლებისა და განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობები და გამოწვევები

2019 წლის ნოემბერი

შინაარსი

ძირითადი ასპექტები 3

შესავალი 5

შესაძლებლობები 6

გამოწვევები 9

რეკომენდაციები 11

გამოყენებული ლიტერატურა 17

ძირითადი ასპექტები

ემისიის შემცირების მიზნობრივი მაჩვენებლები, რომელთა შესრულებაც პარიზის შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებმა თავიანთი „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განხორციელების ფარგლებში იკისრეს, ძალიან სუსტია გლობალური დათბობის ტემპერატურის 1.5°C-მდე შეზღუდვის მისაღწევად.[1] გარდა ამისა, „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განახლების პროცესში ხშირად უგულვებელყოფილი არიან ის დაინტერესებული მხარეები, რომლებზედაც კლიმატის ცვლილება ყველაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს. „პარიზის მიზნების“ მისაღწევად „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ უნდა იყოს არა მხოლოდ უფრო ამბიციური, არამედ, ამავდროულად, საზოგადოებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის მონაწილეობითი და ინკლუზიური დიალოგის შედეგი.

მიუხედავად იმისა, რომ „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ გამჭოლი დოკუმენტია, რომელიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა საარსებო წყაროებსა და მათი ქვეყნების განვითარებაზე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განვითარების პროცესში არასათანადოდ არიან წარმოდგენილი. აღიარებული უნდა იქნეს ადგილობრივი გამოცდილება, საჭიროებები და სწრაფვები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აქვთ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

„ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტის ციკლური განახლების პროცესის შესამუშავებლად, რომელიც ინკლუზიურიც იქნება და ეფექტურიც, გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები:

რესურსები: პროცესების შეთანხმება და პასუხისმგებლობათა განაწილება დაინტერესებულ მხარეებთან. საერთაშორისო დახმარების განხილვა „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ გონივრული განახლების საკითხზე ინკლუზიური დიალოგის ფინანსირებისთვის;

სქემატური ასახვა (‘მეფინგი’): სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისი აქტორების განსაზღვრა, რომლებზეც შეიძლება ზემოქმედება იქონიოს კლიმატის პოლიტიკამ, ან რომლებმაც შეიძლება წვლილი შეიტანონ ამ პოლიტიკაში, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე, სამოქალაქო საზოგადოების ქსელებზე ხელმისაწვდომობის მეშვეობით. მრავალფეროვანი საზოგადოების ჩართვის უზრუნველყოფა.

ხელმისაწვდომობა: განსაზღვრულ დაინტერესებულ მხარეებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის, მკაფიო, დროული და გამჭვირვალე კომუნიკაციის მეშვეობით. დაინტერესებულ მხარეთა პოტენციალის შექმნა, საჭიროების შემთხვევაში.

პასუხისმგებლობა: პასუხისმგებლობის გაზიარება ჩართულ აქტორებთან და მათი როლების წინასწარი განსაზღვრა. მონაწილეობის ორგანიზების ფორმების და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების განსაზღვრა.

ჩართულობის პრაქტიკის დაგეგმვა: ურთიერთქმედებათა დეტალურად ორგანიზებული გეგმის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება კონსულტაციების, მონაწილეობისა და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმის გონივრული ერთობლიობა. პირისპირ შეხვედრების და, აგრეთვე, ონლაინ-გამოკითხვების დაგეგმვა.

1 *Climate Action Tracker*

გრაფიკი: დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთქმედების გამჭვირვალე გრაფიკის შემუშავება. „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ ყოველ 5 წელიწადში გადასინჯვისა და ციკლური განახლების საკითხის განხილვა. უნდა დაიწყოს წარდგენის ვადამდე 2 წლით ან უფრო ადრე.

ინსტიტუციონალიზაცია: კლიმატის პოლიტიკაში მონაწილეობითი პროცესის კოორდინირებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ფასილიტაციის დამოუკიდებელი სამსახურის გამოყენება.

შესავალი

დღეისათვის პარიზის შეთანხმება 187 ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული. მისი რატიფიცირებით ქვეყნებმა იკისრეს თავიანთი „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ გადასინჯვის ვალდებულება 5-წლიანი ციკლით, 2020 წლიდან მოყოლებული. „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ პროცესის პირველი რაუნდი, რომლებიც პარიზის შეთანხმებაზე ხელმოწერამდე, ანუ, 2015 წლამდე იყო შემუშავებული, ძალზე სუსტი აღმოჩნდა. ერთობლივად თუ განვიხილავთ, ყველა „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განხორციელების ჯამური შედეგი გამოიწვევს გლობალურ დათბობას 30C-ზე მეტით, ნაცვლად 1.5 გრადუს ცელსიუსამდე ზრდისა პრეინდუსტრიულ დონესთან შედარებით.

ამრიგად, უფრო ამბიციური „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ ადგილობრივ საჭიროებებსა და გამოცდილებას უნდა ითვალისწინებდეს[2]. ამავდროულად, კლიმატის სფეროში ძლიერი პოლიტიკა, რომელიც ადგილობრივ თემებზე არის დაფუძნებული, თანმდევ სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს ქმნის[3].

ამ დოკუმენტში წარმოდგენილია ორგანიზაციის - „გერმანიის დედამიწის მეგობრები“ (BUND) გამოცდილება, რომელიც მან დააგროვა მიმდინარე პროექტის - „კლიმატის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება“ ფარგლებში, რომელსაც მხარს უჭერს გერმანიის გარემოს, ბუნების კონსერვაციისა და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტროს (BMU) პროგრამა „საერთაშორისო კლიმატის ინიციატივა“ (IKI). პროექტის კოლუმბიაში, საქართველოსა და უკრაინაში მიმდინარეობამ დაგვანახა, რომ „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ ზემოქმედებას ახდენს დაინტერესებულ მხარეებზე, როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე. იგი, ასევე ზემოქმედებას ახდენს მთელ რიგ საჭიროებებზე, რის გამოც, „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ შემუშვებისას, აუცილებელია მათი გათვალისწინება, რათა ყურადღების მიღმა არ დარჩეს სექტორული და ადგილობრივი განვითარების პრიორიტეტები.

ადგილობრივი საჭიროებების ეროვნულ მოთხოვნებად ჩამოყალიბებაში მთავარ როლს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ასრულებენ. ამ დოკუმენტის ბოლოს მათზე განსაკუთრებული მითითებით ჩვენ ვადასტურებთ, რომ სწორედ ისინი მიგვაჩნია „კლიმატის სფეროში სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ“ წარმომადგენლებად. ეს არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციები საჯაროდ მოქმედებენ და სურთ ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკურ გადაწყვეტლებებზე. ეს ასოციაციები და ორგანიზაციები უშუალოდ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობენ, ან, სულ მცირე, იგი გამჭოლ თემად მიაჩნიათ[4].

დოკუმენტის მომდევნო ნაწილში ჩვენ განვიხილავთ საზოგადოების ჩართულობის შესაძლებლობებს ამბიციური „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განახლებაში და აღვწერთ იმ უნიკალურ როლს, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოების აქტორები ასრულებენ ამ პროცესში. ამის შემდეგ ჩვენ ვისაუბრებთ გამოწვევებსა და დაბრკოლებებზე, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განხორციელების პროცესში. აქ მითითებული შესაძლებლობებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მონაწილეობითი და ეფექტური „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განახლების პროცესი, რათა მან უზრუნველყოს უფრო ამბიციური მოქმედება კლიმატის სფეროში.

2 *NewClimate, 2019a*
3 *COBENEFITS, 2017*
4 *Kovac et al. (2019) refer to Brunnengräber et al. (2005) and Brunnengräber, A. (2011)*

შესაძლებლობები

კავშირები

„ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ მსგავს საერთაშორისო ვალდებულებებსა და სუბნაციონალურ რეალობებს შორის ძლიერი კავშირი გადამწყვეტ წინაპირობას წარმოადგენს კლიმატის სფეროში გონივრული პოლიტიკის განხორციელებისა და მოსახლეობაში კლიმატის პოლიტიკის ღონისძიებათა აღიარების უზრუნველსაყოფად. ამ კავშირის უზრუნველყოფა ადგილობრივი და ეროვნული დონის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ.

სწორედ ადგილობრივი თემები განიცდიან მწვავედ კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ ზემოქმედებას. ისინი ასრულებენ მთავარ როლს შერბილებისა და შეგუების ღონისძიებათა განხორციელებაში და თავიდან იცილებენ აუნაზღაურებელ დანაკარგსა და ზარალს. მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვალდებულებათა შემუშავებისთვის, რომლებიც ადამიანთა რეალურ მდგომარეობაზე იქნება დაფუძნებული. წამყვან როლს ასრულებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რადგან ადგილობრივ დონეს სწორედ ისინი აკავშირებენ ეროვნულ დონესთან - იმ პირობით, რომ ხდება „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ პროცესის განახლება, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს მასში მონაწილეობისთვის საჭირო რესურსები აქვთ.

ქვემოთ მოცემული სქემა 2012 წელს არის შემუშავებული კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო საბჭოს (IPCC) მიერ, სადაც განსაზღვრულია დაინტერესებულ



სქემა 1: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შუამავლის როლს ასრულებენ - და არა მხოლოდ ბუნებრივი კატასტროფების მართვის პროცესებში (IPCC, 2012: 346)

მხარეთა როლები ადაპტაციისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვაში. თუმცა ასევე შეიძლება მოხდეს მათი გარდაქმნა დაინტერესებულ მხარეთა ფუნქციად ისეთ პროცესებში, როგორიცაა, მაგალითად, „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დაგეგმვა. გრაფიკზე ნაჩვენებია, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საკვანძო როლს ასრულებენ კლიმატის გონივრული პოლიტიკის დაგეგმვაში. ამის მიზეზი არის მათი კავშირები საერთაშორისო და ეროვნულ ინსტიტუტებთან, ასევე, ადგილობრივ თემებთან. ვინაიდან ადგილობრივი საჭიროებები, სწრაფვები და კულტურა ხელს უწყობს საერთაშორისო და ეროვნული მიზნების მიღწევას, საერთაშორისო ვადლებულებათა შესრულებაც, ასევე დაკავშირებულია ადგილობრივ დონესთან - პროექტებისა და კონკრეტული კლიმატის მოქმდების ფორმით.

ადგილობრივი და კონკრეტული ცოდნა

ჩვენი გამოცდილებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გარკვეულ წინაპირობებს უზრუნველყოფენ კლიმატის სფეროში ამბიციურობის ასამაღლებლად. მათი ერთ-ერთი ძლიერი მხარე არის მათი წევრების შეხედულებების დაკავშირება (მარგინალიზებულ) სამოქალაქო ჯგუფებთან. ისინი სარგებლობენ იმ ადამიანთა ნდობითა და მხარდაჭერით, რომელთა საჭიროებებსა და კულტურასაც ისინი წარმოადგენენ. ასეთი გზით ხდება ფართო კულტურული მრავალფეროვნების ასახვა ეროვნულ დონეზე, ასევე, საერთაშორისო დონეზე. ამრიგად, კონკრეტული ადგილობრივი გარემოებები თვალსაჩინო ხდება და ისინი გამოწვევების წინაშე აყენებს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე განვითარებულ მოვლენებს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მრავალფეროვან საზოგადოებას წარმოადგენენ, რითაც ავსებენ თანამედროვე წარმომადგენლობით დემოკრატიას და ხელს უშლიან პოლიტიკური პროცესებისაგან მოქალაქეთა გაუცხოებას[5].

საზოგადოების განვითარების საჭიროებების, გეოგრაფიულ მდებარეობაზე დამოკიდებული კლიმატური მოწყვლადობის და შედეგების შერბილებისა და ადაპტაციის პოლიტიკის მიმართ ადგილმდებარეობის მგრძნობელობის ცოდნა ფასდაუდებელი აქტივია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისთვის, რომელიც ინკლუზიური და ამბიციური „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დაგეგმვისას უნდა იქნეს გათვალისწინებული. კოლუმბიაში, საქართველოსა და უკრაინაში პროექტის მიმდინარეობისას ჩვენ მივხვდით, რომ კლიმატის ცვლილების სფეროში პრობლემების გადაწყვეტის რაიმე უნივერსალური მეთოდი არ არსებობს და რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მათი ქსელები განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ფლობენ ყველა შესაბამისი და კონკრეტული გარემოების გასათვალისწინებლად, და მათ შეუძლიათ ისინი გაითვალისწინონ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის, მართლაც ეფექტურ ღონისძიებებში.

შუამავლის როლის შემსრულებლები

კლიმატის სფეროში ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელსაც ახალგაზრდობა უძღვება, კარგ შედეგს იძლევა კლიმატის ცვლილების საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების ფართო სპექტრის ინფორმირების თვალსაზრისით. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მედიატორის როლს ასრულებენ მრავალრიცხოვან ინდივიდუალურ აქტორებს შორის და, აქედან გამომდინარე, მათ სახელმწიფო ადმინისტრაციებთან შედარებით უფრო იოლად შეუძლიათ დაძლიონ სექტორული დაბრკოლებები და ინტერესთა კონფლიქტი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის[6] .

5 *Council of Europe, 2015*
6 *Ibid.*

დახმარება

დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია კლიმატის ეროვნული პოლიტიკის წარმატებულ და უფრო დინამიურ განხორციელებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოებას უნარი აქვს დახმარება გაუწიოს ადმინისტრაციას განხორციელების სხვადასხვა ეტაპებზე და ტექნიკური დახმარება გაუწიოს მას, მაგალითად, ნახშირბადის აღრიცხვა-გაანგარიშების და/ან „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განახლების პროცესში. ურთიერთშეთანხმებულ პასუხისმგებლობას შეუძლია გააძლიეროს ჩართული აქტორები და ხელი შეუწყოს მათი რეპუტაციის გაზრდას.

თანასარგებლის ჩართვა

კლიმატის სფეროში მოქმედებათა განხორციელება, რომლებიც ითვალისწინებს ადგილობრივ პრობლემებსა და ადგილობრივი თემების შესაძლებლობებს, ხელს უწყობს მათ გაძლიერებას და ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური თანასარგებლის შექმნას, მაგალითად, „ჯანდაცვას [ენერგიის სუფთა წყაროების გაუმჯობესების შედეგად], ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობას, ინვესტიციების შესაძლებლობებს - რაც განახლებად ენერგიებზე ღირებულების მკვეთრი შემცირების შედეგია, და ადგილობრივი ღირებულებების შექმნას“[7]. დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა და მათი ჩართულობა, რომლებზეც ზემოქმედებას ახდენს კლიმატის ცვლილება ან რომლებიც სარგებელს იღებენ კლიმატის ცვლილების შერბილების ღონისძიებებისაგან, ხელს უწყობს შერბილებაზე ორიენტირებული მოქმედებებისაგან მიღებული სარგებლის იდენტიფიცირებას ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე. გარდა ამისა, ამბიციური კლიმატური პოლიტიკის სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი ხელს უწყობს საარსებო საშუალებების გაუმჯობესებას და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას (მაგ., ენერგიაზე ხელმისაწვდომობა) და ქმნის სტიმულებს კლიმატის პოლიტიკაში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისთვის.

7 COBENEFITS, 2017

გამოწვევები

სამოქალაქო საზოგადოებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა რთული ამოცანაა, მისი განხორციელებისას გასათვალისწინებელია აქტორთა ფართო წრე, რომელზეც კლიმატის ეროვნული პოლიტიკა ახდენს ზემოქმედებას. მონაწილეობისა და კონსულტაციების პროცესებს შეიძლება დიდი დრო და რესურსი დასჭირდეს. ამიტომ, ეფექტურად დაგეგმილ და განხორციელებულ მონაწილეობის პროცესს შეუძლია უზრუნველყოს ადამიანთა და ექსპერტთა წვლილის მობილიზება კლიმატის პოლიტიკის განხორციელებაში და დაზოგოს რესურსები.

ვინაიდან დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის ინსტიტუციონალიზაციის თვალსაზრისით ქვეყნები სხვადასხვა ეტაპზე არიან, მითითებული გამოწვევები თითოეულ მათგანს შესაძლოა ზუსტად არ შეესაბამოდეს. თუმცა მითითებულ გამოწვევებში ხაზგასმით არის ფორმულირებული სირთულეთა ფართო სპექტრი, რომელიც „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ გადასინჯვის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის დროს შეიძლება წარმოიშვას.

გამჭვირვალე, ნათელი და დროული კომუნიკაცია

დაინტერესებულ მხარეთა შორის ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის ერთადერთი გზა არის ნათელი და მთლიანად გამჭვირვალე კომუნიკაციის დამყარება. გერმანიასა და პარტნიორ ქვეყნებში ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს პრობლემებს უქმნის ხანმოკლე ვადები, ინფორმაციის და მონაცემთა ნაკლებობა და ასევე ისიც, რომ მათ ნათლად არ იციან, როდის და სად შეუძლიათ თავიანთი წვლილის შეტანა. ვინაიდან კლიმატის სფეროს პოლიტიკური დოკუმენტები, როგორიცაა, კლიმატის სფეროში სამოქმედო გეგმები და „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტი რთული დოკუმენტებია, დაინტერესებულ მხარეებს - განსაკუთრებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს - კონკრეტული საკითხების შესასწავლად დრო სჭირდებათ, რათა მათ ყოველმხრივი წვლილის შეტანა შეძლონ. გამჭვირვალობაზე დაფუძნებული ანგარიშვალდებულება გადამწყვეტი ელემენტია დაინტერესებულ მხარეთა შორის აღიარების მოსაპოვებლად, განსაკუთრებით, სამოქალაქო საზოგადოებაში.

ხელმისაწვდომობა

გამჭვირვალე კომუნიკაცია ასევე ხელს უწყობს მონაწილეობით პროცესზე ხელმისაწვდომობას. ევროპის საბჭოს განმარტებით, „მონაწილეობის პროცესი უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი, მონაწილეთა შორის შეთანხმებულ პარამეტრებზე დაფუძნებული“[8]. თუ კონსულტაციებზე და მონაწილეობის პროცესებზე წვდომა ფართო ხასიათს არ ატარებს, ზოგიერთ დაინტერესებულ მხარეს ხელი შეეშლება მონაწილეობაში. პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია და მშობლიური ენის გამოყენება მთავარი ფაქტორებია გააზრებული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. საზოგადოების პლურალური ბუნებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია სოციალური ჯგუფების მრავალფეროვნება და მათი წარმომადგენლების საჭიროებები.

არასაკმარისი შესაძლებლობები/ უნარები

დაგეგმვის პროცესში ჩართულობის ძირითადი გამოწვევა არის ზოგიერთი დაინტერესებული მხარის შესაძლებლობათა ნაკლებობა. ერთი მხრივ, საკითხთან დაკავშირებული ცოდნის ნაკლებობის აღმოფხვრასა და ცნობიერების ამაღლებას შეიძლება დრო და რესურსები დასჭირდეს, რადგან „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი“ თავისთავად კომპლექსური საკითხია. მეორე მხრივ, ფინანსური

8 Council of Europe, 2015

რესურსების სიმწირე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ხელს უშლის კონკრეტული თემების დამუშავებაში. ჩვენი გამოცდილებით, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეიძლება ჰქონდეთ ღირებული იდეები და ცოდნა, ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო მათ შესაძლოა ვერ გააგრძელონ თავიანთი წვლილის შეტანა პოლიტიკურ განხილვაში. აქედან გამომდინარე, ყურადღებით უნდა განისაზღვროს, არის თუ არა აუცილებელი ცოდნის ნაკლებობასთან ან ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემის აღმოფხვრა, და სად უნდა მოხდეს ეს.

ხშირად ზოგიერთმა დაინტერესებულმა სუბიექტმა არ იცის თუ რა ზემოქმედებას მოახდენს მასზე კონკრეტული პოლიტიკა. ეს აგრეთვე ეხება „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დაგეგმვასა და განხორციელებას. არ არსებობს გადამწყვეტი კავშირები შერბილებისა და ადაპტაციის/შეგუების ღონისძიებებს შორის, არ არის უზრუნველყოფილი მდგრადი განვითარების მიზნებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანმდევი სარგებელი, მაგრამ ისინი აუცილებელია შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობისთვის. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების აქტორებმა არ იციან რა კავშირი არსებობს კლიმატის მოქმედებებსა და თანმდევ პოტენციურ სარგებელს შორის, როგორიცაა, მაგალითად, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, რომელიც შედეგად მოაქვს განახლებად ენერგიებზე გადასვლას.

რესურსები

დრო და ფინანსური რესურსები მონაწილეობითი პროცესების შექმნაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. მიუხედავად იმ მრავალი სარგებლისა, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ინკლუზიურ მონაწილეობას მოაქვს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ შემუშავებისა და განხორციელების დროს, გასათვალისწინებელია ასეთ მასშტაბურ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯები და არ უნდა მოხდეს მათი არასათანადო შეფასება.

რეკომენდაციები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მრავალ შესაძლებლობას ქმნის შედეგების შერბილების ამბიციური მიზნების მისაღწევად და მოსახლეობაში აღიარების მოპოვებისათვის. იმისთვის, რომ ყოველ 5 წელიწადში შემუშავდეს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დამაჯერებელი დოკუმენტი, რომელიც მთლიანად განხორციელდება ეროვნულ დონეზე, ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დაგეგმვის პროცესში ადრეულ ეტაპზე უნდა ჩაერთონ, რათა წვლილი რეალურად იქნეს უზრუნველყოფილი[9]. მნიშვნელოვანია, რომ თავიდანვე არ შემოვიფარგლოთ დაინტერესებულ მხარეთა მხოლოდ ინფორმირებით „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ პროცესის და/ან გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც დასაწყისიდანვე მიღებულ იქნა ინკლუზიური საკონსულტაციო და მონაწილეობითი პროცესების დანერგვით.

ვინაიდან „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დაგეგმვის და განხორციელების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ეფექტური ჩართვა რთულ ამოცანას წარმოადგენს, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს კონკრეტული ელემენტები.

რესურსები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა ხარჯებს მოითხოვს, რაც უგულვებელყოფილი არ უნდა იქნეს. მაგალითად, დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებისა და კომენტარების გონივრულ განხილვასა და გათვალისწინებას დრო სჭირდება, ხოლო დაინტერესებულ მხარეთა შეხვედრების ხელშეწყობას - ფინანსები. თუმცა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა ძლიერი მხარე არის მათი ადგილობრივი ნიადაგიდან მომდინარე გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კლიმატის პოლიტიკას. „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ პროცესის გაძლიერებას ხელს უწყობენ საერთაშორისო დონორები და ქსელები, მაგალითად, როგორიც არის „NDC Partnership“. ეს პლატფორმა ხელს უწყობს მხარეთა მოთხოვნების კოორდინირებას, რომლებიც დახმარებას ითხოვენ და ეხმარება უზრუნველყოფის პროცესში[10]. მხარდაჭერის სისტემებით გათვალისწინებული მასშტაბური მონაწილეობითი პროცესი, რომელიც შესაბამის დაინტერესებულ მხარეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას აერთიანებს, დახმარების პროგრამების ნაწილი უნდა იყოს და მათი მოთხოვნა ღიად უნდა ხდებოდეს.

საჭირო რესურსების მობილიზებას და მათ სწორად გამოყენებასთან ერთად, ეფექტურობის გაზრდისთვის, ასევე საჭიროა კლიმატის ეროვნულ პოლიტიკაში მიმდინარე დაგეგმვის პროცესების ურთიერთშეთანხმება. გამჭვირვალობის გაფართოებული სტრუქტურა მხარეებს მათი ეროვნული შეტყობინებების ერთიანი მოხმარების დოკუმენტად შექმნის საშუალებას აძლევს[11]. დოკუმენტების გაერთიანებასთან ერთად პროცესების გაერთიანებაც არის შესაძლებელი. მაგალითად, ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის ხელშეკრულების ხელმომწერ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმის წარდგენა ენერგეტიკული თანამეგობრობის საბჭოში. არ არის საჭირო მომზადებისა და კონსულტაციების პროცესების დუბლირება, რადგან შესაძლებელია მათი გაერთიანება, რაც უზრუნველყოფს რესურსების დაზოგვას და სპეციალისტთა ჩართვას იქ, სადაც ეს

9 Vener, J. et al., 2019
10 Bread for the World, 2017
11 NewClimate, 2019a and 2019b

საჭიროა[12]. ანალოგიურად შესაძლებელია მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ძალისხმევის შეჯერება.

გარდა ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აგრეთვე შეუძლიათ ოპერატიული დახმარება გაუწიონ ხელისუფლების ორგანოებს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ პროცესით დაინტერესებული მხარეებისთვის ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარებით შეღავათი მისცენ ადგილობრივი და ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებსაც შეიძლება კადრების ნაკლებობის პრობლემა ჰქონდეთ. განხილული უნდა იქნეს სავალდებულო ფინანსური კომპენსაცია. ღირებული გვერდითი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებით ხდება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების რეპუტაციისა და პროფესიონალიზმის ზრდა. ამ გზით შესაძლებელია თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების უზრუნველყოფა.

დაინტერესებულ მხარეთა სქემატური ასახვა (‘მეფინგი’)

დაინტერესებულ მხარეთა სქემატური ასახვა უნდა მოიცავდეს სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის აქტორებს, ანუ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, ასევე, კლიმატის ცვლილების შედეგების პოტენციური შერბილების სფეროს ცალკეულ ექსპერტებს[13]. ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საზოგადოების აქტორები უკვე იყენებენ კლიმატისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტებს, მაგალითად, მდგრადი ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სფეროში. „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი კონკრეტული ცოდნა და გამოცდილება. მათი განსაკუთრებული გამოცდილების გათვალისწინებისთვის აუცილებელია დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა სამოქალაქო საზოგადოებიდან, მათი შესაძლებლობების გაძლიერება - სადაც ეს საჭიროა, და „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განახლების პროცესზე მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

დაინტერესებულ მხარეთა ამომწურავი სიის შედგენა, რომელიც შემდეგ შეიძლება შეიკვეცოს, ყოველთვის კარგი დასაწყისია. მასში უნდა ჩართოთ ადგილობრივი და მარგინალიზებული ჯგუფები, ასევე, კონკრეტული სფეროებისა და ადგილობრივ საკითხთა ექსპერტები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხშირად საკმაოდ კარგად არიან ინტეგრირებული თავიანთ ქსელში. ეს ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ შესაბამისი აქტორების განსაზღვრას, განსაკუთრებით, სოფლად, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ დონეზე აქტიური ორგანიზაციები ძირითადად დედაქალაქში არიან თავმოყრილი. ამ ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კონსულტაციები ხელს უწყობს ‘მეფინგის’ პროცესების დაწყებას.

„ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ პროცესში სათანადოდ უნდა აისახოს საზოგადოების მრავალფეროვნება, რათა მიღწეული იქნეს ამბიციური და მისაღები კლიმატის პოლიტიკა.

ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობები

სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის აქტორთა დეტალური და გამჭვირვალე შერჩევის შემდეგ, უნდა მოხდეს მათი შესაძლებლობების შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, მათი გაძლიერება. შეიძლება ორგანიზებული იქნეს ტრენინგები დაინტერესებულ მხარეთა ყოველი ჯგუფისთვის ჩართული სექტორებიდან და

12 NewClimate, 2019a and 2019b
13 Carbon Market Watch, 2018: 9

ინსტიტუტებიდან, მთავრობის ოფიციალურ პირთა ჩათვლით. ამგვარი მიდგომით უკვე ამ ეტაპზევე იქნება შესაძლებელი ხელმისაწვდომობისა და დაინტერესებულ მხარეთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესება.

ტრენინგებსა და შეხვედრებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა, როგორც წესი, გარედან მიღებულ დაფინანსებაზე არის დამოკიდებული. ამავდროულად განსაკუთრებით საჭიროა ადგილობრივი მარგინალიზებული ჯგუფების გამოცდილებისა და ცოდნის გამოყენება. კოლუმბიაში, საქართველოსა და უკრაინაში ჩვენს პარტნიორებთან თანამშრომლობის შედეგად ჩვენ დავრწმუნდით, რომ (ადგილობრივი) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობა განხილვებს ამდიდრებს. მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად უნდა მოხდეს მათი მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება, რაც პრაქტიკულად უმნიშვნელოა იმ სარგებელთან შედარებით, რასაც მათი მონაწილეობა მოიტანს.

სამოქალაქო საზოგადოების აქტორთა ჩართვის ერთ-ერთი წინაპირობა უნდა იყოს მონაწილეობითი პროცესის ყველა ეტაპზე შესაბამისი მშობლიური ენის გამოყენება. დაინტერესებულ მხარეებს და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს უნდა შეეძლოთ თვალყური ადევნონ განხილვებს და გაიგონ რა წერია დოკუმენტებში. ამავდროულად, ეს დოკუმენტები უნდა იყოს „ნათარგმნი, ადაპტირებული და განმარტებული წერილობით ან სიტყვიერად“[14], რათა ისინი ყველა მონაწილისთვის იყოს გასაგები. ინკლუზიურობის უზრუნველყოფაში ენა გადამწყვეტ როლს ასრულებს, განსაკუთრებით, მარგინალიზებული ჯგუფებისთვის.

შეთანხმებული პასუხისმგებლობები

სამოქალაქო საზოგადოების შედეგიანი ჩართულობისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი არის პასუხისმგებლობათა განაწილება ჩართულ ინდივიდებსა და/ან ორგანიზაციებს შორის, რათა როლები და სტრუქტურა განისაზღვროს მონაწილეობის ფაქტობრივი პროცესის დაწყებამდე. განხორციელებაში ჩართული ჩვენი უკრაინელი პარტნიორებისაგან შევიტყვთ, რომ დაინტერესებულ მხარეთა შორის როლები სათანადოდ არ არის განაწილებული. ვინადიან უკრაინაში კლიმატის ცვლილების სფეროს მეცნიერება სათანადოდ განვითარებული არ არის, ჩვენი პარტნიორების მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორიცაა „Ecoaction“, იძულებული არიან შეავსონ ეს ხარვეზი, რათა უზრუნველყონ მიმდინარე კვლევები კლიმატის განხილვის პროცესში.

როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ პროცესის დასაწყისშივე უნდა მოხდეს, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი აქტორების პოზიტიური რეპუტაციის შექმნას. უნდა შეთანხმდეს სტრუქტურა, წესები და მოლოდინები. ასეთი გზით ყველა დაინტერესებული მხარე გაიგებს თუ როგორ უნდა უზრუნველყოს თავისი მონაწილეობა და როგორ მოხდება გადაწყვეტილებათა მიღება[15].

შედეგიანი თანამშრომლობის შენარჩუნებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები შეიძლება აქტიურად ჩაერთონ მთავრობისა და საზოგადოების ინტერესების ერთმანეთთან დაახლოების პროცესში. გასათვაისწინებელია გენდერული საკითხები და მარგინალიზებული ჯგუფები.

14 EUflegt, 2014
15 Ibid.

ჩართულობის განხორციელების გეგმა

საჭიროა შემუშავდეს ჩართულობის დეტალური გეგმა და უნდა მოხდეს მისი რეგულარული განახლება. მასში მითითებული უნდა იყოს ვადები და ჩართულობის განხორციელების გზები. დაინტერესებულ მხარეებს, განსაკუთრებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, დროულად უნდა ეცნობოთ თუ სად და პროცესის რომელ მომენტში შეძლებენ ისინი თავიანთი წვლილის შეტანას.

კონსულტაციების, თანამშრომლობისა და მონაწილეობის სხვადასხვა ფორმა უზრუნველყოფილი უნდა იყოს, როგორც ონლაინ რეჟიმში, ისე მის გარეშე. ონლაინ კონსულტაციების წარმოებისთვის მონაწილეებს სათანადო ტექნიკა სჭირდებათ, რაც საზოგადოების ზოგიერთი ნაწილის გამორიცხვის საფრთხეს ქმნის, მაგრამ იგი გაამარტივებს შორეულ დასახლებებში მცხოვრებ ადამიანთა ჩართულობას. გასათვალისწინებელია, რომ წვლილის რაოდენობა შეიძლება იყოს ძალიან დიდი და მათი გადასინჯვა და შეფასება რთულ ამოცანას წარმოადგენს.

დიალოგი პოლიტიკის საკითხებზე და უშუალო შეხვედრები, მაგალითად, სამუშაო ჯგუფების ფორმატში, ხელს უწყობს დისკუსიის გამდიდრებას და შემოქმედებითი სტრატეგიების განვითარებას, რომლებსაც მონაწილეთა შორის მაღალი აღიარება ექნება. ისეთი ფორმატები, როგორიცაა ფოკუს-ჯგუფების დისკუსიები და სცენარების განხილვის სემინარები, ფასილიტატორებს საშუალებას აძლევს თავი მოუყარონ სამოქალაქო საზოგადოების მიერ გაწეულ წვლილს და მუდმივად გააუმჯობესონ მონაწილეობის ფორმატები (შიდა სწავლება)[16].

შესაბამისი ფორმატების და/ან მეთოდების შერჩევა კონკრეტულ გარემოებებზე არის დამოკიდებული და მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა პროცესის აღიარებულ მონაწილეთა რაოდენობა და მათი კომპეტენციის დონე. მაკოორდინირებელ ფასილიტატორს შეუძლია მონაწილე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის სანდო გარემო შექმნას. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსამზადებელი ტრენინგები ადრიანად უნდა დაიგეგმოს და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საბაზისო ინფორმაციის მიწოდება, რათა მიღწეული იქნეს ცოდნის ერთი და იგივე დონე. წვლილისა და ჩართულობის ფორმატები ყოველთვის ადაპტირებული უნდა იყოს მარგინალიზებული ჯგუფების საშუალებებთან. როდესაც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და ადგილობრივი ექსპერტები თითოეულ საკითხთან მიმართებაში თავიანთი წვლილის შეტანას ვერ ახერხებენ, რეკომენდებულია შეიქმნას სამუშაო ჯგუფები კონკრეტული საკითხების განსახილველად (მაგ., სექტორები, ადაპტაცია, დანაკარგი და ზიანი).

მონაწილე აქტორებმა უნდა შეათანხმონ მოქმედებები მომდევნო ეტაპზე, რათა დიალოგს ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი, ხოლო რეკომენდაციები და წვლილი ყოველთვის უნდა შეჯამდეს. შეჯამების შედეგები უნდა ეცნობოს მონაწილეთა ჯგუფს, რაც გამჭვირვალე ურთიერთობების პრაქტიკის მაჩვენებელია.

ჩართულობის გრაფიკი

„ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ გადასინჯვისას ქვეყნებმა უნდა დაიცვან წარდგენისთვის წინასწარ დადგენილი ვადები, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ გადასინჯვა 5 წელიწადში ერთხელ მოხდება - 2020 წლიდან დაწყებული. გარდა ამისა, წანაცვლებული 5-წლიანი ციკლით ხდება ნახშირბადის ეროვნული ინვენტარიზაციის შედეგების წარდგენა გლობალური ინვენტარიზაციის შექმნის მიზნით, რათა შემოწმდეს რამდენად წარმატებით ხდება ემისიების შემცირება. პირველი გლობალური

16 Künkel et al., 2016

ინვენტარიზაცია 2023 წლამდე უნდა ჩატარდეს. იმ დროისათვის მზად უნდა იყოს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ ახალი დოკუმენტები, რომლებიც უნდა მომზადდეს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით დარჩენილი ორი წლის განმავლობაში. ამ ეტაპისთვის აუცილებლად უნდა მოხდეს შესაბამისი მონაცემების გამჭვირვალედ გამჟღავნება, რათა განახლების პროცესის მონაწილეებს საშუალება ჰქონდეთ საფუძვლიანად მოამზადონ თავიანთი წვლილი და მხარი დაუჭირონ კლიმატის ამბიციური მოქმედების შემუშავებას. ვადების შესახებ მკაფიო კომუნიკაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ზუსტი გრაფიკი ფართოდ უნდა გავრცელდეს, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა დროულად მიიღონ ინფორმაცია, ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვით.

ზოგიერთმა აქტორმა წვლილი შეიძლება შეიტანოს უკვე ნახშირბადის გლობალური ინვენტარიზაციის ეტაპზე, ხოლო ზოგიერთ დაინტერესებულ მხარეს ამ პერიოდში შესაძლოა შესაძლებლობათა გაძლიერება და ცოდნის ხარვეზების აღმოფხვრა დასჭირდეს. ტრენინგები და სემინარები „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განახლებულ დოკუმენტზე კონსულტაციების დაწყებამდე უნდა ჩატარდეს.

ადრეულ ეტაპზე უნდა დაფუძნდეს პარტნიორობა და თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოების აქტორებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სამუშაო პლატფორმები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ მოსალოდნელი გადასინჯვისთვის. ამრიგად, საერთო ძალისხმევით შესაძლებელია „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ გაძლიერება.

ინსტიტუციონალიზაცია

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა იმედისმომცემი ფაქტორია, მაგრამ, ამავდროულად, რთულ ამოცანასაც წარმოადგენს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ განახლების პროცესში. მრავალი დაინტერესებული მხარის კოორდინაცია და წარმატებული პოლიტიკური დიალოგი დიდ რესურსს მოითხოვს. ამ რესურსების მდგრად საფუძველზე გამოყენებისთვის პროცესის ინსტიტუციონალიზაცია არის საჭირო. დაინტერესებულ მხარეებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და კოალიციების შექმნა მდგრადი და ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის შექმნისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია ფასილიტაციის სამსახურის გამოყენება, რომელიც მოახდენს დაინტერესებულ მხარეთა კოორდინაციას, დაადგენს პასუხისმგებლობებს და ორგანიზებას გაუწევს დიალოგს, წვლილს და საერთაშორისო წარდგინებების შესაბამის გრაფიკებს. სამოქალაქო საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს საკონტაქტო უწყება ესაჭიროებათ, ვისაც ისინი საჭირო ინფორმაციის მისაღებად მიმართავენ.

გამჭვირვალობის უზრუნველყოფა ხელს უწყობს ნდობის განმტკიცებას სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბოლოს მოხდეს რეკომენდაციების გათვალისწინება. თუ მთავრობა საბოლოოდ გადაწყვეტს, რომ არ გაითვალისწინოს სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები, ამით სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგება ურთიერთობა მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. რაც უფრო წინ მიდის პროცესი, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება საზოგადოების ინფორმირება განხილული წინადადებების შესახებ. აქ იგულისხმება სურათის მკაფიო ასახვა და იმ ელემენტების

არგუმენტირება, რომლებიც „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ პროცესში განხილული არ იქნა.

ამ რეკომენდაციების განხილვის ფონზე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ ინკლუზიური და უფრო ეფექტური პროცესი მიგვიყვანს ამბიციურ მიზნებამდე და შესაბამის მოქმედებამდე კლიმატის სფეროში. ეს გულისხმობს მონაწილეობითი პროცესის შესაძლებლობათა აღიარებას, რათა მოხდეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა - მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების - და მათი წვლილის ჩართვა. ამის მისაღწევად, ჩვენი რეკომენდაცია იქნება, გამოიძებნოს დამატებითი დრო და რესურსები, რათა კლიმატის ამბიციურმა პოლიტიკამ სარგებელი მოიტანოს, რომელიც ფართოდ იქნება აღიარებული შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა

Bread for the World, 2017: "Ambition, Participation and Effectiveness: Utilising the NDC Partnership as a Catalyst for NDC Implementation in Developing Countries." Analysis 69. Bread for the World – Protestant Development Service Evangelisches Werk für Diakonie und Entwicklung e. V.

Brunnengräber, A., 2011: "Das Klimaregime: Globales Dorf oder sozial umkämpftes, transnationales Terrain?" In: Achim Brunnengräber et al. (2005): " Zivilisierung des Klimaregimes. NGOs und soziale Bewegungen in der nationalen, europäischen und internationalen Klimapolitik": Heidelberg: Springer Verlag VS Research, S. 17 –43.

Brunnengräber, A.; Klein, A., Walk, H., 2005: "NGOs im Prozess der Globalisierung. Mächtige Zwerge - umstrittene Riesen." Berlin: Bundeszentrale für politische Bildung.

Carbon Market Watch, 2018: "Practitioner's guide for local stakeholder consultation. How to ensure adequate public participation in climate mitigation actions". Version 1.0 - April 2018

Climate Action Tracker: https://climateactiontracker.org/global/cat-thermometer/ (Retrieved on 10 Oct 2019)

COBENEFITS, 2017: https://www.iass-potsdam.de/sites/default/files/files/iki-cobenefits_factsheet_170317.pdf (Retrieved on 10 Oct 2019)

Council of Europe, 2015: "Government interaction with Civil Society. Policy paper on government interaction with civil society on drug policy issues: Principles, ways and means, opportunities and challenges." Adopted at the 79th meeting of the Permanent Correspondents of the Pompidou Group. Available at: https://rm.coe.int/government-interaction-with-civil-society-policy-paper-on-government-i/168075b9d9 (Retrieved on 10 Oct 2019)

EUflegt Facility, 2014: http://www.euflegt.efi.int/publications/engaging-civil-society-stakeholders (Retrieved on 10 Oct 2019)

IPCC, 2012: "Managing the Risks of Extreme Events and Disasters to Advance Climate Change Adaptation." A Special Report of Working Groups I and II of the Intergovernmental Panel on Climate Change [Field, C.B., V. Barros, T.F. Stocker, D. Qin, D.J. Dokken, K.L. Ebi, M.D. Mastrandrea, K.J. Mach, G.-K. Plattner, S.K. Allen, M. Tignor, and P.M. Midgley (eds.)]. Cambridge University Press, Cambridge, UK, and New York, NY, USA, 582 pp.

Indriunaite, I., Ochs, A. and Wangombe, E., 2018: "Local Ownership and Engagement for NDC Implementation." Concept idea by the NDC Support Cluster. Available at: https://www.ndc-cluster.net/system/files?file=document/Concept%20Note_Sector%20Approaches_Local%20ownership%20and%20engagement_final.pdf (Retrieved on 28 Oct 2019)

Kovac, S., Sperfeld, F., Ettl, S., Stolpe, F., 2019: "Zwischen Klimagerechtigkeit und der Implementierung der NDCs." Beiträge der Zivilgesellschaft zur Klimapolitik in sieben Ländern. UfU Paper, Berlin 2019. Available at: https://www.ufu.de/wp-content/uploads/2016/11/UfU-Paper-01_2019-1.pdf

Künkel, P., Gerlach, S., Frieg, V., 2016: „Stakeholder-Dialoge erfolgreich gestalten." Kernkompetenzen für erfolgreiche Konsultations- und Kooperationsprozesse. Springer Fachmedien Wiesbaden 2016.

NewClimate, 2019a: https://newclimate.org/2019/06/18/saving-time-and-resources-by-aligning-climate-planning-processes/ (Retrieved on 10 Oct 2019)

NewClimate, 2019b: https://newclimate.org/wp-content/uploads/2019/06/Consolidation_Climate_Planning_EnC_countries.pdf (Retrieved on 10 Oct 2019)

Vener, J., T. Fransen, K. Levin, J. Baumwoll, C. Elliott, and K. Ross. 2019: "Scaling Up Ambition: Leveraging Nationally Determined Contributions and Long-Term Strategies to Achieve the Paris Agreement Goals." Working Paper. Washington, DC: World Resources Institute. Available online at www.wri.org/publication/scaling-up-ambition

Bund für Umwelt und Naturschutz Deutschland e.V. (BUND)
Friends of the Earth Germany
Kaiserin-Augusta-Allee 5
10553 Berlin, Germany
www.bund.net

მთავარი რედაქტორი: ანთიე ფონ ბრუკი (V.i.S.d.P.)

საკონტაქტო პირი: სევერინ ეტლი (severin.ettl@bund.net)

www.bund.net/iki-projekt

დაკაბადონება: dieprojektoren.de

2019 წლის ნოემბერი

ეს პროექტი „კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის“ ნაწილია. გერმანიის გარემოს დაცვის, ბუნების კონსერვაციისა და ბირთვული უსაფრთხოების სამინისტრო ხელს უწყობს ამ ინიციატივას გერმანიის ფედერალური პარლამენტის რეზოლუციის საფუძველზე.

პროექტის ხანგრძლივობა: 2018 - 2021

www.international-climate-initiative.com

Supported by:

Federal Ministry
for the Environment, Nature Conservation
and Nuclear Safety

based on a decision of the German Bundestag